საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

განკარგულება №104/2015

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №11 საგარეჯოსა და №65 მარტვილის საარჩევნო ოლქებში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ

ქ. თბილისი 2015 წლის 31 აგვისტო

საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 18 მარტის პლენარული სხდომის ოქმის №146-IIს ამონაწერის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია, №65 მარტვილის მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის ნაული ჯანაშიასათვის 2015 წლის 18 მარტიდან, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

„თინათინ ხიდაშელისათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 8 მაისის №3601– რს დადგენილების შესაბამისად, №11 საგარეჯოს მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრს თინათინ ხიდაშელს 2015 წლის 8 მაისიდან, ვადამდე შეუწყდა საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი” ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 129-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №11 საგარეჯოსა და №65 მარტვილის

მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები დაინიშნოს 2015 წლის 31 ოქტომბერს.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**

კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**